

ირინა ძუცოვა  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

**ქართული მოტივები ნატალია გონჩაროვას  
შემოქმედებაში**

1943 წელს ბალეტის მოცეკვავემ, ბალეტმაისტერმა, პარიზის ქორეოგრაფიისა და ცეკვის უნივერსიტეტის დამფუძნებელმა სერჟ ლიფარმა (სერჟ მიხაილის ძე ლიფარი, 1905-1986) მხატვარ ნატალია სერგეის ასულ გონჩაროვას (1881-1962) შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ბალეტის დადგმაზე თანამშრომლობა შესთავაზა. ქართული მოტივებით შთაგონებული ბალეტი მონტე-კარლოში 1932 წელს დაარსებულ რუსულ საბალეტო დასს უნდა დაედგა.

ავანგარდისტი მხატვარი, გრაფიკოსი და თეატრის მხატვარი, რომელიც გამოჩენილი რუსი ხელოვანისა და თეატრალური მოღვაწის სერგეი პავლეს ძე დიაგილევის (1872-1929) მიერ შექმნილ „დიაგილევის რუსულ ბალეტთან“ მუშაობდა, დიდი დიქტატორის სახელით იყო ცნობილი. ნატალიას შემოქმედებას მსოფლიოს არა ერთ ქვეყანაში მის მიერ გაფორმებული სპექტაკლებითა და მისი ნამუშევრების გამოფენებით იცნობდნენ. გონჩაროვას მე-20 საუკუნის რუსული და მსოფლიო მხატვრული ავანგარდის „დედოფალს“ უწოდებდნენ. ა. ს. პუშკინის მეუღლე, ნატალია ნიკოლაის ასული გონჩაროვა, ნატალია სერგეის ასულს ბებისა დად ეკუთვნოდა. მხატვარი ძალიან ამაყობდა ამ ნათესაური კავშირით. სხვადასხვა დროს ნ. ს. გონჩაროვა გატაცებული იყო იმპრესიონიზმით, კუპიზმისა და პრიმიტივიზმის სინთეზით, მოგვიანებით კი კუბოფუტურიზმით. 1913 წლისთვის ნატალიამ თავისი ნიშა დაიკავა რუსული ავანგარდის ისტორიაში. რუსმა მხატვარმა, გრაფიკოსმა და ხელოვნებათმცოდნემ, დიაგილევის ყველა გამოფენის მონაწილე ალექსანდრე ნიკოლა-

ის ძე ბენუამ (1870-1960) გონჩაროვა პარიზში ს. დიაგილევის „რუსული სეზონების“ გასაფორმებლად მიიწვია. ნატალია 1914 წლიდან 1926 წლამდე აფორმებდა სპექტაკლებს.

1944 წლის 22 აპრილის შეთანხმების თანახმად, მაისისთვის გონჩაროვას უკვე მომზადებული ჰქონდა კოსტიუმებისა და დეკორაციების ესკიზები ქართულ პოემაზე დაფუძნებული ოთხაქტიანი ბალეტისთვის ფრანგი-შვეიცარიელი კომპოზიტორის არტიურ ხონეგერის (1892-1955), რუსიამერიკელი კომპოზიტორისა და მუსიკის თეორეტიკოსის ალექსანდრე ჩერეპნინისა (1899-1977) და უნგრელი კომპოზიტორის ტიბორ ხარსანის (1898-1954) მუსიკაზე.

ბალეტი სერუ ლიფარმა დადგა, ლიბრეტოზე კი მიხეილ ფეოდორის ძე ლარიონოვი (1881-1964), ნ. გონჩაროვას მეუღლე, მხატვარი, გრაფიკოსი და თეატრის მხატვარი მუშაობდა. 1913 წელს ლარიონოვის ინიციატივით მოსკოვში გამოფენა „მიშენი“ გაიმართა, რომელზედაც ნიკო ფიროსმანის ოთხი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

სამწუხაროდ, ლიფართან აზრთა სხვადასხვაობის გამო ბალეტი საბოლოოდ არა გონჩაროვამ, არამედ მხატვარმა ალექსანდრე შერვაშიძემ გააფორმა (ჩაჩბა, 1867-1968). 1920 წლიდან შერვაშიძე ემიგრაციაში ცხოვრობდა, მუშაობდა ს. დიაგილევის ანტრეპრიზაში.

ბალეტის პრემიერა 1946 წლის 5 მაისს მონტე-კარლოს თეატრში გაიმართა. წარმოდგენას ცნობილი ფრანგი დიზაინერი და მოდელიერი გაბრიელ (კოკო) შანელი დაესწრო. ს. ლიფარი ოცნებობდა ბალეტი მოსკოვსა და თბილისში დაედგა. 1961 წელს მან თბილისში იმოგზაურა და საქართველოს საჩუქრად ბალეტ „შოთა რუსთაველთან“ დაკავშირებული რამდენიმე მხატვრული დოკუმენტი გადასცა. მას „საპატიო ქართველის“ წოდება მიანიჭეს, რითაც ლარიონოვი ძალიან ამაყობდა.

თავის მოგონებებში ს. ლიფარი ასე აღწერდა ნ. გონჩაროვას ესკიზებს ბალეტისთვის: „აღმოსავლეთის დახვენილი

ცივილიზაცია აღნევს სლავურ ცივილიზაციაში, რომლის გამჭოლი ხასიათი, პალიტრის მრავალფეროვნება და ბუნების სტილიზაცია სრულად შეესაბამებოდა შოთა რუსთაველის რომანტიკულ იდეას“. ლიტარი ვერაფრით მიხვდა, თუ რატომ თქვა უარი ნ. გონჩაროვამ ბალეტის გაფორმებაზე და ამ ფაქტმა წერტილი დაუსვა მათ მეგობრობას.

სამწუხაროდ, გონჩაროვას ესკიზების ბედი უცნობია. შესაძლოა, ისინი კერძო კოლექციებში ან მუზეუმებში ინახება. ტარიელის კოსტიუმის ერთი ესკიზი (აკვარელი, 38x22,5, 1943 წ.) კი ნიკიტა დიმიტრის ძე ლობანოვ-როსტოვსკის განთქმულ კოლექციაშია დაცული. 2013 წელს დიდ ბრიტანეთში გამოცემულ „რუსული თეატრალური მხატვრობის ენციკლოპედიის“ 213-ე გვერდზე რუსთაველის პოემის მოკლე შინაარსსა და ბალეტის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით. 571-ე ილუსტრაციაზე კი გონჩაროვას მიერ შესრულებული ტარიელის კოსტიუმის ესკიზი არის წარმოდგენილი. პერსონაჟი ტანზე მომდგარ ვეფხვის ტყავის ორნამენტებით მორთულ სამოსშია გამოწყობილი. ყმანვილი აღმოსავლური ტიპის დახვეწილი სახის ნაკვთებით გამოირჩევა. მის შუბლს ვეფხვის თავის ფორმის ნიღაბი ფარავს. ეს ჩანახატი მხატვრის პირადი ფანტაზიებითაა შთაგონებული. ესკიზის ზემო ნაწილში გონჩაროვას ხელმოწერა (ლათინური ასოებით), მარჯვენა კუთხეში კი ლიტარის კოლექციის ბეჭედია გამოსახული. სხვათა შორის, ტარიელის როლი მოცეკვავე იული ალგაროვისთვის იყო განკუთვნილი (1918-1995 წწ).

ზემოხსენებული ენციკლოპედიის 202-ე გვერდზე ნ. გონჩაროვას მიერ შესრულებული შამახანის დედოფლის ესკიზია (აკვარელი, 38x16,5, 1914 წ.) წარმოდგენილი. ეს ჩანახატი ერთ-ერთია იმ კოსტიუმებისა და დეკორაციების ესკიზებიდან, რომლებიც ნატალიამ ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვის ოპერა-ბალეტ „ოქროს მამლისთვის“ (ა. ს. პუშკინის ამავე სახელწოდების ზღაპრის საფუძველზე) შექმნა. ბალეტი სერგეი დიაგილევმა დადგა, ქორეოგრაფია კი მოცეკვავესა და ქო-

რეოგრაფ მიხაილ მიხაილის ძე ფოკინს (1880-1942) ეკუთვნოდა. პრემიერამ 1914 წლის 24 მაისს პარიზის ოპერაში დიდი წარმატებით ჩაიარა.

კრიტიკოსები წერდნენ, რომ „ოქროს მამლის“ კოსტიუმებისა და დეკორაციებისთვის გონჩაროვას შთაგონების წყარო რუსული ხალხური შემოქმედება, სახვითი პრიმიტივი და სპარსული მინიატურა იყო. მისი ესკიზების ხასხასა ფერები გასაოცარია. დასის მთავარი რეჟისორი, რუსი მოცეკვავე და ბალეტის მოცეკვავე სერგეი ლეონიდის ძე გრიგორიევი (1883-1968) სპექტაკლის წარმატების შესახებ წერდა („გონჩაროვა და ლარიონოვი. ორმოცდაათიანი წლები. სენ-ჟერმენ-დე-პრე“, პარიზი, 1971, გვ. 106) და აღნიშნავადა, რომ „გონჩაროვას შესანიშნავმა დეკორაციებმა და კოსტიუმებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ წარმატებაში“. კომპოზიტორ რიმსკი-კორსაკოვის ვაჟმა, ანდრეიმ, ჟურნალ აპოლონში (1914, N6-7) გამოქვეყნებულ რეცენზიაში ყურადღება „შამახანის დედოფლის მშვენიერ კოსტიუმზე“ გაამახვილა. სხვა კრიტიკოსები ასევე გამოარჩევდნენ პიესის ხატოვან ტემპერამენტსა და ზღაპრულ გამომსახველობას.

შამახანის დედოფლის როლს ოპერის მომღერალი, მოსკოვის საიმპერატორო ოპერის მომღერალი ავრელია-ცეცილია იოსების ასული დობროვოლსკაია (1881-1942) და ბალერინა თამარ პლატონის ასული კარსავინა (1885-1978) ასრულებდნენ. დედოფლის კოსტიუმის ესკიზით თუ ვიმსჯელებთ, ის არა ბალერინასთვის, არამედ მომღერლისთვის იყო განკუთვნილი. ჩანახატში დედოფლის კაბაცა და პოზაც ჯავახეთში XII-XIII საუკუნეებში კლდეში ნაკვეთ სამონასტრო კომპლექსში წარმოდგენილ XII საუკუნის ფრესკაზე თამარ მეფის გამოსახულებას ემთხვევა. სავარაუდოა, რომ გონჩაროვასთვის დედოფლის ესკიზის შთაგონების წყარო ქართული ფრესკა იყო. ნატალიას უთოდ ნანაზი ექნებოდა თამარ მეფის გამოსახულების რეპროდუქცია. მხატვარს თითქმის არაფერი შეუცვლია თავის ესკიზში. პატივი მივაგოთ გონჩა-

როვას: სხვადასხვა მხატვრული მოძრაობებით გატაცებულ-მა, უამრავ ცდუნებას შორის ნატალიამ არჩევანი ქართული ხელოვნების სიუჟეტებზე შეაჩერა და ევროპის ორი თეატრალური წარმოდგენისთვის ორიგინალური ჩანახატები შექმნა. ნუ დავივინებულ სერუ ლიფარსაც, რომელმაც ომის მძიმე წლებში, ევროპულ ემიგრაციაში ყოფნისას, მოისურვა და მნიშვნელოვნად ჩათვალა „ვეფხისტყაოსნის“ ევროპულ სცენაზე გაცოცხლება.